თინათინ ქაროსანიძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
t.karosanidze@freeuni.edu.ge

ლიდერობა ჯიჰადისტურ ტერორისტულ ორგანიზაციებში

რეზიუმე

2011 წლის 2 მაისს აბოტაბადში, პაკისტანში სპეცოპერაციის შედეგად ალ-კაიდას ლიდერი უსამა ბინ ლადენი მოკლეს. ეს სპეცოპერაცია აშშ-ის კონტრტერორიზმის სტრატეგიის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა. იგი ამერიკის ტერორიზმზე გამარჯვებად აღიარეს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-მა ალ-კაიდას ბევრი ლიდერი დააპატიმრა ან მოკლა. 2006 წელს რეიდებს შეეწირა ალ-კაიდას ერაყის დაჯგუფების ლიდერი, აბუ მუსაბ ალ-ზარკავი; 2012 წლის 5 ოქტომბერს ამერიკის ძალებმა აბუ ანას ალ-ლიბი, ალ-კაიდას ლიბიის დაჯგუფების ლიდერი დააპატიმრა; 2012 წლის ივნისში პაკისტანში დრონის თავდასხმას შეეწირა აბუ იაჰია ალ-ლიბი, ალ-კაიდას ლიდერის მოადგილე. რამდენიმე თვის შემდეგ დრონის თავდასხმას ასევე შეეწირა ალ-კაიდას კიდევ ერთი ლიდერი და პროპაგანდისტი, იმენელი ანვარ ალ-ავლაკი.

ალ-კაიდას ლიდერთა ლიკვიდაციის თუ დაპატიმრების შემდეგ ორგანიზაციას საქმიანობა არ შეუწყვეტია. ის ისევ რჩება ძლიერ ორგანიზაციად, რომელიც მთელ მსოფლიოში ტერაქტების ორგანიზებას განაგრძობს. როგორც აღმოჩნდა, აშშ-ის მიერ ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერების წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა წარუმატებელი იყო (Juergensmeyer 2003, 234).

კვლევის მიზანს წარმოადგენს, პასუხი გაეცეს კითხვებს: რატომ არის არაეფექტური ჯიჰადისტური ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერთა ლიკვიდაცია ან დაპატიმრება? როგორ ახერხებს ჯიჰადისტური ტერორისტული დაჯგუფებები ლიდერზე თავდასხმის შემდეგ საქმიანობის გაგრძელებას? ტერორისტული დაჯგუფების წარმატებული საქმიანობა უკავშირდება თუ არა ლიდერის ტიპს?

საკვანძო სიტყვები: ლიდერობა, ტერორიზმი, ჯიჰადისტური ორგანიზაცია, პროფილი, კონტრტერორიზმი.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა ძირითადად სამიზნედ ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერებს არჩევს. ზოგ შემთხვევაში ეს ტაქტიკა ეფექტურია, ზოგ შემთხვევაში - არაეფექტური. XX საუკუნეში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ლიდერის ლიკვიდაცია ან დაპატიმრება ორგანიზაციის დაშლას ან რეორგანიზაციას იწვევდა. მაგ., გერმანიაში XX საუკუნის 70-იან წლებში მოქმედი წითელი არმიის ფრაქციის, იგივე ბაადერ-მაინჰოფის დაჯგუფების, ლიდერების დაპატიმრების შემდეგ, რომლებმაც სიცოცხლე საკანში სუიციდით დაასრულეს, დაჯგუფება ფაქტიურად დაიშალა; იაპონიაში აუმ შინრიკიოს დაჯგუფების ლიდერის მასაიოში ასაჰარას დაპატიმრებას ორგანიზაციის დაშლა მოყვა. მსგავსმა ტაქტიკამ გაამართლა გასულ საუკუნეში, რადგან ძირითადად მკაცრად ვერტიკალური ორგანიზაციული სისტემის მქონე დაჯგუფებების წინააღმდეგ იყო მიმართული. ასეთი ტიპის დაჯგუფებებს ძირითადად მემარცხენე ან სექტანტური დაჯგუფებები (შავი ავაზები, აუმ შინრიკიო, ბაადერ-მაინჰოფის დაჯგუფება, ქურთისტანის მუშათა

პარტია) წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ლიდერის ლიკვიდაცია ან დაპატიმრება უშუალოდ გავლენას ახდენს ტერორისტული ორგანიზაციების მომავალზე: ზოგი ორგანიზაცია საქმიანობას წყვეტს, ზოგი იატაკქვეშ საქმიანობაზე გადადის, ზოგი ცვლის ტაქტიკას (ზოგ შემთხვევაში პოლიტიკურ პარტიად გადაიქცა) და ძალადობაზე უარს ამბობს (Hofmann 2016, 15; Porta & LaFree 2012, 5; Maskaliutaite 2014, 11).

მკვლევართა იმ ნაწილს, რომელიც ლიდერების ლიკვიდაციას ან დაპატიმრებას ეფექტურ ტაქტიკად მიიჩნევს, ამის დასამტკიცებლად რამდენიმე არგუმენტი მოყავთ: ლიდერის ლიკვიდაცია არის გარკვეულწილად გაფრთხილება მომავალი ლიდერისთვის, რომ მასაც იგივე ბედი ელის. ლიდერის მოკვლის შემთხვევაში ორგანიზაციის ოპერაციული პროცესი ჩერდება მოკლე დროით ან ხანგრძლივად; ორგანიზაცია ცდილობს, შემცვლელის უსაფრთხოებისთვის მეტი რესურსი მოიძიოს (Price 2012, 32; Hafez & Hatfield 2006, 360; Jordan 2009, 722).

ჯიჰადისტური ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის მსგავსი ტაქტიკა არ ამართლებს. როგორც ჩანს, ეს ჯიჰადისტური დაჯგუფებების ორგანიზაციულ სტრუქტურას უკავშირდება. სტრუქტურის მიხედვით ტერორისტულ ორგანიზაციებს სამი ტიპის ორგანიზაციად ყოფენ: ვერტიკალური, ჰორიზონტალური და ქსელური. ჯიჰადისტური ტერორისტული დაჯგუფებები მეტწილად ჰორიზონტალური ან ქსელურია. ასეთი სტრუქტურის მიუხედავად, ლიდერს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და ალბათ სწორედ ამიტომაც, კონტრტერორისტული სტრატეგია ძირითადად დაჯგუფების ლიდერის ლიკვიდაციისკენაა მიმართული. თუმცა დეცენტრალიზებული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლა, როდესაც სამიზნედ ლიდერია არჩეული, ნაკლებად წარმატებულია, ვიდრე იერარქიული ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერების სამიზნედ არჩევა სხვადასხვა თეორიებს ეყრდნობა: სოციალური მოძრაობის თეორია, ორგანიზაციული თეორია, ქარიზმის თეორია, ლიდერობის თეორია. სოციალური მოძრაობის თეორია მიიიჩნევს, რომ ლიდერი ორგანიზაციის მობილიზების და ფორმირებისას მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეორიის ჩარჩოში ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერების შესახებ კვლევები ნაკლებად განხილულია. როგოორც ჰოფმანი აღნიშნავს, სოციალური მოძრაობის თეორიის კვლევებში ტერორისტების რადიკალიზაცია და ტერორისტული მოძრაობების მობილიზაცია განხილულია, თუმცა ლიდერების როლი ტერორისტულ დაჯგუფებებში თეორიული პერსპექტივის მიხედვით ნაკლებადაა გაანალიზებული (Hofmann 2017, 210). მკვლევარების ნაწილი (Hofmann 2017; Horgan 2005) ტერორისტულ ორგანიზაციაში რეკრუტირებისას და რადიკალიზაციის პროცესში, ასევე ორგანიზაციის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში და სტრატეგიული ოპერაციების დაგეგმვაში ლიდერის როლის მნიშვნელობას ხაზს უსვამს. ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი სხვადასხვა ტიპის ადამიანი შეიძლება იყოს: კრიმინალი, ნობელის პრემიის მფლობელი მშვიდობის დარგში, ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ინდივიდი ან უმაღლესი განათლების მქონე პროფესორი, რაც ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერების შესახებ კვლევას ართულებს (Price 2012,16). თუმცა ამ კვლევების მიხედვით, მნიშვნელობა ენიჭება არა ლიდერის ტიპს, არამედ მის ფუნქციას ამ ორგანიზაციაში.

მკვლევარების ნაწილი ორგანიზაციული თეორიის მიხედვით აანალიზებს ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერების როლს. თუმცა ორგანიზაციული თეორიის მიხედვით, ტერორისტი ლიდერების კვლევას გარკვეული ხარვეზი აქვს, რადგან ეს თეორია ლიდერობის ქცევას ძირითადად მშვიდ ვითარებაში იერარქიულ გარემოში იკვლევს. ასეთი კვლევა ნაკლებად ესადაგება ტერორისტული ორგანიზაციების კვლევას, რადგან ტერორისტი ლიდერი განსხვავდება მისი „კოლეგისგან“ ანუ რომელიმე ორგანიზაციის თუ კომპანიის დირექტორისა თუ პრეზიდენტისგან. ეს განსხვავება უკავშირდება ტერორიზმის ახალ ფორმას, რომელიც დეცენტრალიზაციას და ორგანიზაციის ქსელურ სისტემას უკავშირდება. შესაბამისად, ასეთ დაჯგუფებებში ლიდერსა და მის მიმდევარს შორის ურთიერთობები განსხვავებულია

იერარქიული კომპანიის პრეზიდენტსა და მის პერსონალს შორის ურთიერთობებისგან (Hofmann 2017, 210). ლიდერის როლი მნიშნელოვანი რომ არის ორგანიზაციაში, ამაზე მიუთითებს თეორია ლიდერობის შესახებ: თუ ლიდერს ცალსახად ოპერაციული და ინსპირაციული როლი აქვს დაჯგუფებაში, ასეთი ლიდერის დაკავება ორგანიზაციის კოლაფსს გამოიწვევს (Jordan 2014, 10). ორგანიზაციული თეორია ასევე არ ხსნის იმ ტიპის ლიდერების როლს, რომლებიც იდეოლოგიურ გავლენას ახდენენ მის მიმდევრებზე ან „მარტოხელა მგლებზე". ასეთი ტიპის ლიდერები ტერორიზმის ულიდერო ჯიჰადში ტერორისტებს შორის სულ უფრო პოპულარული ხდება.

თეორია ქარიზმატული ლიდერის შესახებ ამტკიცებს, რომ ასეთი ქარიზმატული ლიდერის არსებობა ხელს უწყობს არა მხოლოდ ლიდერის ლეგიტიმაციას, არამედ ამტკიცებს მიმდევრებს შორის იმ მოსაზრებას, რომ ლიდერი უცვლელია (Hofmann 2016, 14; Jordan 2009, 722). გამომდინარე იქიდან, რომ ლიდერს განსაკუთრებული უნარები უნდა ქონდეს წევრების მოზიდვისას, ასეთი უნარები, როგორც წესი, ქარიზმატულ ადამიანებს აქვთ. ტერორისტული დაჯგუფებები ძირითადად ფასეულობებზე დაფუძნებულ იატაკქვეშა ორგანიზაციებს წარმოადგენს, რაც ლიდერობის მემკვიდრეობას ართულებს. ძალადობრივი დაჯგუფებები უფრო შეკრულია და მას ქარიზმატული ლიდერი მართავს, იატაკქვეშა ორგანიზაციები უფრო დამოკიდებულია ლიდერზე, რომელიც ნაკლებად ახდენს დაჯგუფების ოპერაციების ინსტიტუციონალიზაციას სტრატეგიული თუ პირადი მოსაზრებების გამო. პრაისის მოსაზრებით, გამომდინარე იქიდან, რომ ტერორისტული დაჯგუფებები ფასეულობებზე დაფუძნებული ორგანიზაციებია, ლიდერების შეცვლა თუ ჩანაცვლება რთულია, მათი ლიკვიდაცია კი სავარაუდოდ არასტაბილურობას გამოიწვევს (Price 2012, 14; Hofmann 2015, 715).

ფრიმანი აყალიბებს ტერორისტი ლიდერის თეორიას, რომლის მეშვეობითაც ცდილობს, პასუხი გასცეს კითხვას: რატომ არის ლიდერი ასე მნიშვნელოვანი ტერორისტულ დაჯგუფებაში და რა შეუძლია ლიდერს ისეთი გააკეთოს, რისი გაკეთებაც სხვას არ შეუძლია? ფრიმანი გამოყოფს ორ ასპექტს: ინსპირაცია და ორგანიზაციის ოპერაციული მართვა (Freeman 2014, 2). ინსპირაციული ტიპის ანუ ქარიზმატული ლიდერი, ვებერის მოსაზრებით არის მოციქულის ტიპის, რომელმაც სასწაულები უნდა აკეთოს ან მებრძოლი გმირი, რომელსაც ჰეროიკული ნაბიჯების გადადგმა ევალება (Weber 1946, 245; Freeman 2014, 2). ქარიზმა სეკულარული ტიპის ლიდერებსაც ესაჭიროებათ მიმდევრების ენთუზიაზმისთვის, რათა სწორად ჩამოაყალიბონ ორგანიზაციის მისია, ტაქტიკა და მიზანი და ასევე მოიპოვონ პატივისცემა და ნდობა წევრებში. ინსპირაციული ლიდერები იმით განსხვავდებიან მეთაურებისგან, რომ ცდილობენ მიმდევრებიც ლიდერებად აქციონ (Stern 2003, 157).

ლიდერები ხშირად იდეოლოგიას იყენებენ წევრების ინსპირაციისთვის და ეს იდეოლოგია ძირითადად მტრის ხატის ძიებას და მის წინააღმდეგ ბრძოლას უკავშირდება. შრი ლანკაში მოქმედი თამილ ეელამის დაჯგუფებისთვის თუ ახლო მტერი არსებობს, ალ-კაიდამ შორეული მტრის არსებობაც დაუმატა ახლო მტერს (Abrahms 2008, 90). თუმცა ლიდერის ინსპირაციას ჭირდება სიმბოლოების, რიტუალების, მითების შექმნა, რომელიც მას დაეხმარება მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამისთვის ლიდერები მედია საშუალებებს იყენებენ და საკუთარ ტექსტებს თუ მოწოდებებს ასე ავრცელებენ. მაგ., ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ლიდერის აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მოწოდება ისლამური სახალიფოს აღდგენისთვის ბრძოლის შესახებ მედიით გავრცელდა და ბევრი ისლამისტისთვის ინსპირაციის წყარო გახდა სირიასა და ერაყში საბრძოლველად წასასვლელად ისე, რომ დაჯგუფების წევრები პირადად არც კი ენახათ.

ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერებისთვის ასევე მნიშვნელოვანია სტრატეგიული თავდასხმების დაგეგმვა და სამიზნეების განსაზღვრა. ალ-კაიდას ლიდერს ჭირდება ისეთი თავდასხმების გამართლება, რომლებსაც მუსლიმებიც ეწირებიან. ლიდერები ასეთ თავდასხმებზე პასუხისმგებლობას იღებენ, ზოგჯერ კი ამ გადაწყვეტილებებს დაბალი რანგის ლიდერები იღებენ. უსამა ბინ ლადენის როლი მნიშვნელოვანი იყო ალ-კაიდას შექმნისას. მისი დამსახურებაა ავღანეთში საწვრთნელი ბანაკების დაარსება და მსგავს ტე-

რორისტულ დაჯგუფებებთან კავშირის დამყარება. საწყის ეტაპზე იგი იდეოლოგიურთან ერთად ოპერაციული ლიდერის ფუნქციასაც ასრულებდა. XX ს.-ის 90-იან წლებში განხორციელებულ ტერაქტებზე თვითონ ბინ ლადენი იყო პასუხისმგებელი, რადგან ტერაქ-ტებს თავად გეგმავდა და ორგანიზებას უწევდა (1996 წელს სომალის ტერაქტი; 1998 წელს კენიასა და ტანზანიაში საელჩოების აფეთქება). 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქ-ტების შემდეგ ის აღარ იყო ჩართული ტერაქტების განხორციელებაში (მადრიდი, 2004 წელი; ლონდონი, 2005 წელი) და ძირითადად ფინანსურად ეხმარებოდა ორგანიზაციას. ის ჯიჰა-დისტებისთვის ინსპირაციის წყაროდ დარჩა, რამაც ხელი შეუწყო ალ-კაიდას დეცენტრა-ლიზაციას და მოძრაობად გადაქცევას (Freeman 2014, 15).

ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერთა კვლევის სირთულე ორგანიზაციების მრავალფეროვნებას უკავშირდება. მაგ., თამილ ეელამის დაჯგუფების ლიდერის ველუპილაი პრაბჰაკარანის შედარება ჰეზბოლას ლიდერთან ჰასან ნასრალასთან ნაკლებად რელევან-ტურია ამ ორი ორგანიზაციის სტრუქტურისა და ლიდერთა როლის განსხვავებების გამო. შრი ლანკაში მოქმედი თამილ ეელამის დაჯგუფება მკაცრად იერარქიულ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომლის ლიდერს უპირობოდ ემორჩილებიან დაჯუფების წევრები. დაჯგუ-ფების წევრებისთვის ველუპილაი კერპს წარმოადგენდა, რომელთან სადილიც სუიციდური ტერაქტის განხორციელებისთვის მთავარი ჯილდო იყო. ჰეზბოლას ლიდერს შეიხ ნასრალას რაც შეეხება, ის დაჯგუფების სულიერი ლიდერია, რომლის მართვის სტილი სრულად განსხვავდება ველუპილაის სტილისგან. ამ განსხვავებებს განაპირობებს დაჯგუფებების მიზნები და ის კულტურული გარემო, სადაც ეს დაჯგუფებები ჩამოყალიბდა და ოპერირებს.

ამ განსხვავებების გათვალისწინებით, კვლევაში განხილულია ერთი ტიპის, კონკრე-ტულად წამყვანი ჯიჰადისტური ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერები. მონაცემები ლიდერების შესახებ აღებულია ღია წყაროებიდან, როგორიცაა ამ ლიდერების ბიოგრაფიები, სახელისუფლებო რეპორტები, სამეცნიერო სტატიები, ტერორისტული დაჯგუფებების საი-ტები, Counter Extremism Project. ლიდერთა ადგილისა და როლის შესწავლა მათ დაჯგუფე-ბებში იძლევა შესაბამის მონაცემებს თუ როგორ აგრძელებს ან ვერ აგრძელებს დაჯგუფება ლიდერის ლიკვიდაციის ან დაპატიმრების შემთხვევაში საქმიანობას.

ჯიჰადისტური ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერების პროფილების ანალი-ზისას რამდენიმე ფაქტორია გამოკვლეული: განათლება, სოციალური სტატუსი, საბრძოლო გამოცდილება, რელიგია, კავშირები, კარიერა დაჯგუფებაში, ლიდერობის პერიოდი.

შესწავლილი ჯიჰადისტური დაჯგუფებების ლიდერები განსხვავდებიან სოციალური ფონით, განათლებით თუ რელიგიური კუთვნილებით, თუმცა მათ ბრძოლის წარსული აერთიანებთ. ლიდერთა დიდი ნაწილი ავღანეთის ომში იბრძოდა სსრკ-ის წინააღმდეგ. ახალი თაობის ლიდერებისთვის კი ასეთ საბრძოლო ველად სირია და ერაყი იქცა, სადაც ისინი საბრძოლო გამოცდილებას იღებენ. ლიდერების 61% ძირითადად ომის ვეტერანები არიან, 32% არ აქვს სამხედრო გამოცდილება, 7% შესახებ არაფერია ცნობილი (დანართი 1). თარხან ბათირაშვილის შემთხვევაში, მისი სამხედრო გამოცდილება უკავშირდება ქართულ არმიაში სამსახურს და შემდეგ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილეობას. ლი-დერები, რომლებსაც სამხედრო გამოცდილება არ აქვთ, ასევე ცვლიან ორგანიზაციის ტაქ-ტიკას. მაგ., ალიასჰაბ კებეკოვი კავკასიის საამიროს პირველი არაჩეჩენი მეთაური გახდა, ვისაც სამხედრო გამოცდილება არ ქონია, რომელმაც ორგანიზაციის ძალადობრივი ტაქტიკა შეცვალა.

ჯიჰადისტი ტერორისტების კარიერის კვლევისას აღმოჩნდა, რომ მათი დიდი ნაწილი ავღანეთში, სირიასა თუ ერაყში ომში მონაწილეობდა და იქიდან ჩაერთო ჯერ მუჯაჰედთა, შემდეგ კი ჯიჰადისტური დაჯგუფებების რიგებში. კვლევამ აჩვენა, რომ ციხე თუ ბანაკი მნიშვნელოვანი ნაწილია ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერების რადიკალიზაციის პროცესში. ლიდერთა დიდმა ნაწილმა ერთმანეთი სწორედ ციხეში თუ ბანაკში პატიმრო-ბისას გაიცნო და ურთიერთობები გააბა. მაგ., ე.წ. "ისლამური სახელმწიფოს" ორი უმაღლესი მეთაური აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი და აბუ იბრაჰიმ ალ-ჰაშიმ ალ-ყურაიში ერთმანეთს სწორედ

2004 წელს ამერიკელების მიერ დაპატიმრებისას ბუკას ბანაკში შეხვდნენ. მათ შორის მჭიდრო ურთიერთობები დაიწყო. ალ-ბაღდადის გავლენით ალ-ჰაშიმმა დატოვა ალ-კაიდას რიგები და მის ორგანიზაციაში გადავიდა, სადაც მოადგილის თანამდებობა დაიკავა. ალ-ბაღდადის მოკვლის შემდეგ კი ალ-ჰაშიმი „ისლამური სახელმწიფოს“ რიგით მეორე ხალიფა გახდა (Jones 2019, 2; Chulov & Rasool 2020, https://www.theguardian.com/world/2020/jan/20/isis-leader-confirmed-amir-mohammed-abdul-rahman-al-mawli-al-salbi).

სანაცნობო ქსელი დიდ როლს ასრულებს ჯიჰადისტურ დაჯგუფებებში. ლიდერთა ნაწილი ორგანიზაციის დამაარსებელი თვითონ არის (უსამა ბინ ლადენმა ალ-კაიდა დააარსა; მულა ომარმა - თალიბანი) ან წინამორბედი ლიდერის გარდაცვალების შემდეგ ამ თანამდებობას იკავებს (ხადაფი აბუ ბაქრ ჯანჯალანი ძმის გარდაცვალების შემდეგ აბუ საიაფის ლიდერი ხდება. მანამდე ის ამ დაჯგუფების ოპერაციების ხელმძღვანელი იყო; აბუ ბაქარ შეკაუ ბოკო ჰარამის დაჯგუფების ლიდერი 2009 წლიდან მუჰამად იუსუფის გარდაცვალების მერე გახდა, მანამდე მას მოადგილის თანამდებობა ეკავა (Counter Extremism Project, https://www.counterextremism.com/); ჰაკანის ქსელის ლიდერმა სირაჯუდდინ ჯალალუდინ ჰაკანმა ლიდერის თანამდებობა 2018 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო (Sirajuddin Jallaloudine Haqqani, https://www.un.org/securitycouncil/sanctions/1988/materials/summaries/individual/sirajuddinjallaloudine-haqqani). ლიდერთა კარიერული გზა, როგორც წესი, ალ-კაიდაში ან მისივე ორგანიზაციაში იწყება. მაგ., თარხან ბათირაშვილი ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოში“ მალე იკავებს სირიის განშტოების ლიდერის თანამდებობას (წულაძე 2016, https://www.amerikiskhma.com/a/georgia-isis-number-two-tarkhan-batirashvili-killed/3422550.html).

ლიდერების ცვლილება ზოგ შემთხვევაში დაჯგუფების ტაქტიკას ან წევრების მიდგომებს ცვლის. მაგ., აიმან აზ-ზავაჰირის ლიდერობამ ალ-კაიდას მომავალი შეცვალა, რადგან ალ-კაიდას წევრები ერთგულების ფიცს უშუალოდ უსამა ბინ ლადენთან დებდნენ. მისი გარდაცვალების შემდეგ ავტომატურად რამდენმა წევრმა გადასცა ერთგულების ფიცი აზ-ზავაჰირის, უცნობია. კავკასიის საამიროს ტაქტიკა პირველმა არაჩეჩენმა ლიდერმა აბუ ალი კებეკოვმა შეცვალა და მან გამოაცხადა, რომ ორგანიზაციამ უარი თქვა საბრძოლო დაპირისპირებაზე და მოქმედების სხვა ეტაპზე გადავიდა.

სოციალურ გარემოს რაც შეეხება, შესწავლილი ჯიჰადისტური დაჯგუფებების ლიდერთა 47% ღარიბი ოჯახებიდან არის, 50% - საშუალო ფენიდან, 7% - მდიდარი ოჯახის შვილები არიან (დანართი 2). ჯიჰადისტური დაჯგუფებების ლიდერებისგან განსხვავებით, დაჯგუფებების წევრები ძირითადად დაბალი სოციალური ფენიდან არიან და მათ შემთხვევაში მდიდარი ოჯახიდან გამოსულები ძალიან იშვიათად გვხვდება.

რელიგიას რაც შეეხება, ლიდერთა აბსოლუტური უმრავლესობა დაბადებით მუსლიმია და ისლამის სხვადასხვა სექტას მისდევს. გამონაკლისია თარხან ბათირაშვილი, რომელიც იყო ქრისტიანი და შემდგომ მიიღო ისლამი. ასევე არის ისლამის შიგნით კონვერტაციის შემთხვევები, როდესაც სუფიზმის მიმდევარი ვაჰაბიზმზე ექცევა, დეობანდის მიმდევარი სალაფიზმს მისდევს ან შიიტი სუნიტი ხდება (ანსარ ალ-ისლამის ლიდერი შეიხ აბუ ჰაშიმ მუჰამად ბინ აბდულ რაჰმან ალ-იბრი შიიზმიდან სუნიზმზე გადავიდა) (Leeuwen 2018, 58). ჯიჰადისტური დაჯგუფებების ლიდერთა 57% რელიგიური (ისლამური) უმაღლესი განათლება აქვთ, 29% - სეკულარული განათლება მიიღო სხვადასხვა კოლეჯსა თუ უნივერსიტეტში, 14% შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს ან მხოლოდ ფორმალური განათლება აქვთ (დანართი 3).

ტერორისტული ორგანიზაციების კვლევისას გამოჩნდა, რომ ორგანიზაციის მდგრადობა უკავშირდებოდა მის ასაკს. ჯიჰადისტური ორგანიზაციები ამ მხრივ დიდ სიმტკიცეს იჩენს და ხშირ შემთხვევაში დიდი ხნის ისტორია აქვს. აქედან გამომდინარეობს ის ფაქტიც, რომ ჯიჰადისტური დაჯგუფებების ლიდერთა ლიკვიდაცია ან დაპატიმრება მკვეთრ გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის სტრუქტურასა თუ ტაქტიკაზე, რადგან ასეთ ორგანიზაციებს დროში გამოცდილი სტრუქტურა აქვს. კვლევამ აჩვენა, რომ ხანგრძლივად მოქმედი დაჯგუ-

ფებების ლიდერები, როგორც წესი ორგანიზაციას ხუთ წელზე მეტი ხნით მართავენ, ხშირად ათი წლის განმავლობაში და მხოლოდ შვიდი შემთხვევა იყო ისეთი, სადაც ლიდერობის პერიოდი ხუთ წლამდე ნაკლები დრო გაგრძელდა (დანართი 4).

რა თქმა უნდა რთულია იმის მტკიცება, რომ ანტიტერორისტული ტაქტიკა, რომელიც ლიდერის ლიკვიდაციისკენაა მიმართული საერთოდ არ ამართლებს, თუმცა ჯიჰადისტური დაჯგუფებების შემთხვევაში მხოლოდ ლიდერის ლიკვიდაცია საკმარისი არ არის და ამ ტაქტიკას სხვა სახის ოპერაციებიც უნდა ახლდეს თან.

გამოყენებული ლიტერატურა:

წულაძე, ზაზა. 2016. "ჟღალი გენერლის აღსასრული". *ამერიკის ხმა*, 18 ივლისი, 2016. https://www.amerikiskhma.com/a/georgia-isis-number-two-tarkhan-batirashvili-killed/3422550.html.

Abrahms, Marx. 2008. "What Terrorists Really Want: Terrorist Motives and Counterterrorism Strategy". *International Society*, Vol. 32, No. 4 (Spring 2008): 75-105.

Counter Extremism Project, https://www.counterextremism.com/ - accessed at 16/04/2020.

Chulov, Martin and Mohammed Rasool. 2020. "Isis Founding Member Confirmed by Spies as Group's New Leader". *The Guardian Weekly*, at https://www.theguardian.com/world/2020/jan/20/isis-leader-confirmed-amir-mohammed-abdul-rahman-al-mawli-al-salbi - accessed at 16/04/2020.

Della Porta, D. and LaFree, G. 2012. "Guest Editorial: Processes of Radicalization and De-Radicalization". *International Journal of Conflict and Violence*, Vol. 6 (1), 2011: 4-10.

Freeman, Michael. 2014. "A Theory of Terrorist Leadership and its Consequences for Leadership Targeting". *Terrorism and Political Violence:* 1-22.

Hafez, M. and Hatfield, J.M. 2006. "Do Targeted Assassinations Work? A Multivariate Analysis of Israel's Controversial Tactic during Al-Aqsa Uprising". *Studies in Conflict & Terrorism*, Vol. 29, No. 4: 359-382.

Hofmann, D.C. 2015. "Quantifying and Qualifying Charisma: A Theoretical Framework for Measuring the Presence of Charismatic Authority in Terrorist Groups". *Studies in Conflict and Terrorism*, Vol. 38, No. 9: 710-33.

Hofmann, David C. 2016. "The Influence of Charismatic Authority on Operational Strategies and Attack Outcomes of Terrorist Groups". *Journal of Strategic Security*, Vol. 9, No. 2: 14-46.

Hofmann, David C. 2017. "The Study of Terrorist Leadership: Where Do We Go from Here?", *Journal of Criminological Research, Policy and Practice*, Vol. 3, Issue: 3: 208-221.

Global Terrorism Database (GTD), https://www.start.umd.edu/gtd/ - accessed 10/04/2020.

Jones G. Seth. 2019. "Beyond Baghdadi, the Next Wave of Jihadist Violence". CSIS Briefs (November 2019): 1-9, at https://www.csis.org/analysis/beyond-baghdadi-next-wave-jihadist-violence - accessed 13/05/2020.

Jordan, Jenna. 2009. "When Heads Roll: Assessing the Effectiveness of Leadership Decapitation". *Security Studies*, Vol. 18, No. 4: 719-755.

Jordan, Jenna. 2014. "Attacking the Leader, Missing the Mark, Why Terrorist Groups Survive Decapitation Strikes". *International Security*, Vol. 38, No. 4 (Spring 2014): 7-38. mitpressjournals.org/doi/pdf/10.1162/ISEC_a_00157 - accessed 22/3/2020.

Juergensmeyer, M. 2003. *Terror in the Mind of God: The Global Rise of Religious Violence*. Berkley, CA: University of California Press.

Leeuwen, Lennart van and Daan Weggemans. 2018. "Characteristics of Jihadist Terrorist Leaders: A Quantitative Approach". *Perspectives on Terrorism*, Vol. 12, No. 4 (August 2018): 55-68.

Maskaliunaite, Asta. 2014. "Methodological Challenges in the Study of Terrorist Leaders". *Perseverance of Terrorism: Focus on Leaders*, eds. M. Milosevic and K. Rekawek, IOS Press.

Price, Bryan C. 2012. "Targeting Top Terrorists: How Leadership Decapitation Contributes to Counterterrorism". *International Security*, Vol. 36, No. 4 (Spring 2012): 9-46.

Sirajuddin Jallaloudine Haqqani, United Nations Security Council, https://www.un.org/securitycouncil/sanctions/1988/materials/summaries/individual/sirajuddinjalloudine-haqqani - accessed at 16/04/2020.

Stern, Jessica. 2003. *Terror In The Name Of God, Why Religious Militants Kill.* Harper Collins Publisher.

U.S. Department of State, "Foreign Terrorist Organizations". https://www.state.gov/foreign-terrorist-organizations/ - accessed 13/05/2020.

Weber, Max. 1946. *From Max Weber in Sociology.* New York: Oxford University Press.



დანართი 1



დანართი 2

დანართი 3

დანართი 4